სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება # 359

(რესტორნის მომსახურეობები)

ქ. თბილისი ,, 25'' დეკემბერი 2018წ

ერთის მხრივ, სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ნინო თოფურიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „კრუიზ პლიუსი" წარმოდგენილი დირექტორის ნ. ძოწენიძის სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი"), წოდებული მხარეებად, სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტისა და ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „მიმწოდებლის" მიერ, ,,შემსყიდველისათვის" 2018 წლის 29 დეკემბერს სარესტორნე მომსახურების გაწევა CPV კოდით 55300000 ,,რესტორნებისა და კვების საწარმოების მომსახურეობები'' შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ, რესტორან შპს „კრუიზ პლიუსი" ძირითად დარბაზში, დარბაზის დახურვის გარეშე, მომსახურების დაწყების დრო 19:00 საათი. ღონისძიება უნდა დასრულდეს არაუგვიანეს ღამის 02:00 საათისა.

1.2. მომსახურების მოცულობა, სახეობა (სრული ჩამონათვალი) და ღირებულება თანხმდება მხარეებს შორის; მოცემულია ხელშეკრულების დანართში (მენიუ) და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება სავარაუდოდ შეადგენს 910 (ცხრაას ათი) ლარს, რომლის ოდენობაც შესაძლებელია შეიცვალოს და შესაბამისად საბოლოო დაზუსტებული დადგენა მოხდება ანგარიშფაქტურის, მიღება-ჩაბარების აქტის ან/და საბოლოო/ძირითადი ჩეკის საფუძველზე, ღონისძიების მიმდინარეობისას განხორციელებული დამატებითი შეკვეთების შესაბამისად.

2.2. მომსახურების მიღებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, მხარეებს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი. გაუფორმებლობის შემთხვევაში მომსახურება ჩაითვლება გაწეულად და ,,შემსყიდველი" ვალდებული იქნება ხელშეკრულების ღირებულების (ცალკეული მომსახურების ღირებულების) ანაზღაურება მოახდინოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით საბოლოო/ძირითად ჩეკში მითითებული თანხის შესაბამისად.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრამდე.

4. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა

4.1. მიმწოდებელი ვალდებული გაუწიოს ,,შემსყიდველს" სარესტორნე მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობებით, ხოლო ,,შემსყიდველი" ვალდებულია განახორციელოს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება დადგენილ ვადაში.

4.2. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარე უფლებამოსილია, მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. არაერთგზისი დარღვევის შემთხვევაში მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, მეორე მხარისათვის წერილობითი, მათ შორის ელექტრონული შეტყობინების საფუძველზე. ამ შემთხვევაში ბრალეული მხარე ვალდებულია აანაზღაუროს ხელშეკრულების გაუქმებით გამოწვეული ზარალი.

4.3. ,,შემსყიდველს" ხელშეკრულების ფასის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, დაეკისრება პირგასამტეხლო, გადასახდელი თანხის 0,1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4.4. თუ ,,შემსყიდველი" დაარღვევს ამ ხელშეკრულებით შეთანხმებულ პირობებს და ნებისმიერი მოტივით (გარდა შემსრულებლის ბრალეული დარღვევისა) უარს განაცხადებს მომსახურების მიღებაზე ღონისძიების დღეს ან წინა დღეს (შემსრულებლის მიერ სარესტორნო მომსახურების გასაწევად საჭირო ხარჯის გაწევის შემდეგ) ,,შემსყიდველს"ეკისრება შემსრულებლის მიერ გაწეული ხელშეკრულების ფასის სრული ანაზღაურების ვალდებულება.

4.5. ,,შემსყიდველსა" და მის მიერ ორგანიზებული ღონისძიების სტუმრების ქცევა უნდა შეესაბამებოდეს ,,მიმწოდებლის" მიერ სარესტორნე მომსახურების გაწევისას დადგენილ წესებს და უნდა ჯდებოდეს კანონის ფარგლებში. დაუშვებელია ,,შემსყიდველის" სტუმრების მხრიდან სხვა პირის მიმართ (მათ შორის რესტორნის თანამშრომლების მიმართ) პატივისა და ღირსების შემლახავი მოქმედება, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება ან/და მიმწოდებლისა და მისი დაცვის სამსახურის დაუმორჩილებლობა. ასეთი ფაქტის დადგომის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს სტუმარს ან/და ,,შემსყიდველს" რესტორან მუზეუმის ტერიტორიის დატოვება ან/და მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

4.6. ,,შემსყიდველის" შეკვეთით დაგეგმილი ღონისძიების სტუმრების მიერ მიმწოდებლის კუთვნილი ინვენტარის დაზიანების, გატეხვის შემთხვევაში, ,,შემსყიდველი" ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.

4.7. თითოეული მხარე ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორული გარემოებები) ან მეორე მხარის ბრალის შედეგად.

4.8. თითოეული მხარე ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორული გარემოებები) ან მეორე მხარის ბრალის შედეგად.

4.9. თითოეული მხარე ვალდებულია მეორე მხარეს წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ შეატყობინოს დაუძლეველი ძალის არსებობის შესახებ, რის გამოც იგი ვერ ახერხებს ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

4.10. ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა მხარეებს შორის წყდება შეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სასამართლოს მიერ.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულებისა და მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

5.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ნინო თოფურიძე.

5.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მიმდინარეობასა და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირია შემსყიდველის მხრიდან მთავარი ეკონომისტი ნინო მიქაძე;

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

6. მიღება–ჩაბარების წესი

6.1. მიწოდებული მომსახურების შესრულების დადასტურების მიზნით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

6.2. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირია ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ნინო თოფურიძე.

6.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

7. დამატებითი პირობები

7.1. მუსიკალური მომსახურება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ.

7.2. ხელშეკრულება მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია ნებისმიერ დროს შეწყდეს.

7.3. მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები.

7.4. ის ურთიერთობები, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

7.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3(სამი) ეგზემპლარად. ხელშეკრულების 2 ეგზემპლარი შემსყიდველს და ერთი მიმწოდებელს.

მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	შპს. „კრუიზ პალასი“
ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №61	ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ. N75
საინდიფიკაციო კოდი 205224700	საინდიფიკაციო კოდი 404509055
სახელმწიფო ხაზინა	მიმღები ბანკი - სს ,,პროკრედიტ ბანკი“
ბანკის კოდი TRESGE22	ა/ა GE87PC0133600100063750
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 709047004	
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	დირექტორი
ნ. თოფურიძე	ნ. ძოწენიძე
ხელმოწერა	ხელმოწერა

სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

COGNOSCE VERITATEM

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი ,,25 " დეკემბერი 2018 წელი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სარესტორნე მომსახურების (CPVკოდით 55300000 ,,რესტორნებისა და კვების საწარმოების მომსახურეობები'' ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტისა და ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, ამავე უნივერსიტეტის 2018 წლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ფარგლებიდან გაფორმებული #359 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვა ორგანიზაციის - შპს „კრუიზ პლიუსი" მიმართ ვაკმაყოფილებთ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლის პირობებსა და წესებს და ამ შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ხელშეკრულებასა და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი:

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ნ. თოფურიძე**

ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი პირი:
ფინანსებისა და აღრიცხვის სამსახურის უფროსი _____ ნ. წივწივაძე

ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობასა და ინსპექტირებაზე
პასუხისმგებელი პირი: მთავარი ეკონომისტი _____ ნ. მიქაძე

მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი:

რექტორის თანაშემწე _____ დ. ხუფენია